# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელ ანრის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]


**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** ციცინო თურქაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისი, საქართველო

**წევრები:**

ნინო გორგოშაძე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ბათუმი, საქართველო

დავით ტეფნაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ნინო ორაგველიძე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ბათუმი, საქართველო



თბილისი

2019


[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

## ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| სახელწოდება | ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შპს |
| სახე | კოლეჯი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 245539403 |
| ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა) | ქ.ბათუმი 6010, შ.ხიმშიაშვილის ქ.№11/4<br>ფაქტიური: ქ.ბათუმი 6010, შ.ინასარიძის ქ.N29 |
| ვებ-გვერდი | http://www.mtc-anri.edu.ge/ |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | ავტორიზაცია მინიჭებულია 27.05.2015-დან 5 წლის ვადით |
| გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი | #39, 19.04.2018 |
| ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი | 27.05.2021 |

## რაოდენობრივი მაჩვენებლები

### პროგრამები

| | |
|---|---|
| **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | 2 |
| ბაკალავრიატი | 2 |
| მაგისტრატურა | 0 |
| მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | 6 |
| მესამე საფეხურის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა | 2 |
| დოქტორანტურა | 0 |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | 0 |
| ქართულ ენაში მომზადების | 0 |
| აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა | 0 |
| საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა | 0 |
| ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[2] | 0 |
| გაცვლითი პროგრამების რაოდენობა | 0 |

### სტუდენტები

| სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|
| | აქტიური | შეჩერებული | პროგრამის დასრულების მაჩვენებელი |
| სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა | 204 | 15 | - |
| ბაკალავრიატი | 204 | 15 | - |
| მაგისტრატურა | - | | |
| ერთსაფეხურიანი | - | | |
| დოქტორანტურა | - | | |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | - | | |
| ქართულ ენაში მომზადების პროგრამა | - | | |
| უცხოელი სტუდენტების რაოდენობა | - | | |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა | - | | |

## პერსონალი

| | |
|---|---|
| **მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ** | |
| უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) | 123 |
| **სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 15 |
| - პროფესორი | 4 |
| - ასოცირებული პროფესორი | 5 |
| - ასისტენტ პროფესორი | 6 |
| - ასისტენტი | 0 |
| **სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა** | 0 |
| - მეცნიერი | 0 |
| - პოსტდოქტორანტი | 0 |
| **სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 8 |
| - აფილირებული პროფესორი | 3 |
| - აფილირებული ასოცირებული პროფესორი | 2 |
| - აფილირებული ასისტენტ პროფესორი | 3 |
| - აფილირებული ასისტენტი | 0 |
| სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 0 |
| კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 0 |
| სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი | 24 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი | 40 (წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით 03.01.2019) |

## შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

| | |
|---|---|
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 6494,95 კვ.მ |
| დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 1988,06 კვ.მ |
| დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 1213,03 კვ.მ |
| სასწავლო-სამგზავრო გემი | 319,2 კვ.მ |

### მისამართები:

1. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა N29. ს/კ 05.32.12.028 – 3200,50 კვ.მ
2. ბათუმი, დასახლება ადლია/ ქალაქი ბათუმი დასახლება ანგისა. ს/კ 05.32.12.050 – 1705,00 კვ.მ
3. ბათუმი, ბათუმის პორტი, საზღვაო გემი „კაპიტანი ო. ჩახვაძე“ – 319.2 კვ.მ

## მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:<br><br>ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში შეისწავლა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12-13 თებერვალს.<br>წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამსახურების წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტი ასევე ითვალისწინებდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებასა და სასწავლებლის კუთვნილი სასწავლო გემის დათვალიერებას.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:<br>☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: _____<br>☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: _____<br>☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: _____<br>☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ავტორიზაციის საბჭოს ოქმი #7 (05.09.2017) (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღი: 19-21 ივნისი, 2017)</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) არის არასრულყოფილი. პროგრამების მიზნებისა და შედეგების შესახებ მოიცავს მწირ ინფორმაციას. არაა დაკონკრეტებული მიზნები და სწავლის შედეგები. კატალოგი არაა გათვალიწინებული სასწავლებლის ვებ-გვერდზე.</td><td>დაწესებულებას შემუშავებული აქვს კატალოგი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე: http://mtc-anri.edu.ge/uploads/misia/Educational%20Programs%E2%80%99%20Catalogue%20ver%20N1%20from%2003.01.19.docx</td></tr>
<tr><td>უსდ-ს არ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო.</td><td>დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის მოწყობილი აქვს სანიტარული კვანძი, დამომტჟდა ლიფტი, თუმცა გარემოს მთლიანი ადაპტირება არ ფიქსირდება.</td></tr>
<tr><td>ვებ-გვერდი მუშაობს ხარვეზებით</td><td>ვებ-გვერდი ქართულ ენაზე ფუნქციონირებს გამართულად, ინგლისურ ენაზე ინფორმაცია არ არის სათანადოდ წარმოდგენილი.</td></tr>
</table>

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 27.05.2015-დან 5 წლის ვადით, რომლის დროსაც დაწესებულება ძველი სტანდარტების მიხედვით შეფასდა, ხოლო მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულება შეფასდა განახლებული სტანდარტებით. მონიტორინგის ვიზიტი ემსახურება შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს სასწავლებელი ავტორიზაციის ახალ სტანდარტებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **სტანდარტი 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება,** შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სასწავლებლის სენატის სხდომის მიერ 03.01.2019 დამტკიცებულ იქნა ახალი მისია, რომელიც წარმოადგენს ძველი მისიის მოდიფიცირებულ ვარიანტს. დაწესებულების მისიაში გაცხადებულია უსდ-ს როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე: სასწავლებელი სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული კოლეჯია, რომელიც „ახორციელებს უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად სარგებლობს ორი მთავარი პრინციპით: სტანდარტთან შესაბამისობა და მომხმარებლის არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნების დაკმაყოფილება".

ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით კოლეჯმა შეიმუშავა და დაამტკიცა (12.06.2018) 3 წლიანი სამოქმედო და 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები, სადაც ჩამოყალიბებულია მიზნებისა და ამოცანების მისაღწევი ქმედებები.

**სტანდარტი 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა,** შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შეფასებულია მოთხოვნებთან. ამასთან, **კომპონენტი 2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა** - არ შეესაბამება მოთხოვნებს.

დაწესებულებას დანერგილი აქვს ისო 9001:2015 სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა, რომლის მიხედვითაც შემუშავებული აქვს ძალიან ბევრი პროცედურა, რომელიც ხშირ შემთხვევაში პრაქტიკაში არ არის სათანადოდ გამოყენებულიი. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ისო სტანდარტის მოთხოვნები ორიენტირებულია დოკუმენტირებული ინფორმაციის არსებობაზე და ხელმისაწვდომობაზე. ავტორიზაციის სტანდარტები ასევე მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურ განხორციელებას.

**სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები** შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ახორციელებს აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამებს:

- საბაკალავრო პროგრამა „გემის ინჟინერ-მექანიკოსი";
- საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია".

ამ პროგრამების სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან (პირველი საფეხური - ბაკალავრიატი).

სწავლების, მომზადების პროცესი მომდინარეობს შემუშავებული, დამტკიცებული და აღიარებული პროგრამების საფუძველზე, ვიდეო მასალის, კურსის შესაბამისი სიმულატორების გამოყენებით. სრულყოფილი პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად სასწავლებელს გააჩნია თ/მ "კაპიტანი ოთარ ჩახვაძე", სწრაფმავალი და სამაშვლეო კატარღები, მოტონავი, სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო სიმულატორი, რადილოკაციური და ავტომატური რადიოლოკაციური სიმულატორი, რეალური სამანქანო განყოფილება, ლაბორატორიები და საამქროები, რეალური გემის მოდელი, საცურაო აუზი და სხვა.

**სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი** შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამასთან, **კომპონენტი 4.1. პერსონალის მართვა** - შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

უსდ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის პერსონალის მიღების, მომზადებისა და შემოწმების პროცესის პროცედურა. სადაც გაწერილია შესაბამისი პროცედურები პედაგოგიური და ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების, სტაჟირების და ატესტაციისთვის.

კოლეჯმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის მართვის გამართული პოლიტიკა, რომელიც თავს მოუყრის და სისტემურად წარმოადგენს კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციებს.

საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კოლეჯმა უნდა დაადგინოს სამიზნე ნიშნულები და ზრუნავდეს მათ გაუმჯობესებაზე.

კოლეჯმა უნდა გამოიყენოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში.

**სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები** შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა** შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შეფასებულია მოთხოვნებთან. ამასთან **6.3. კომპონენტი კვლევითი საქმიანობის შეფასება** - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელი ანრი“ წარმოადგენს კოლეჯს, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს.

აღნიშნულ ეტაპზე სასწავლებელი თვლის, რომ კვლევითი კომპონენტი არ არის მისი ძირითადი ვალდებულება, თუმცა სტანდარტის შესაბამისად, გარკვეული პოლიტიკით, კოლეჯი ვალდებულია იზრუნოს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება.

მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს მისი, როგორც კვლევების/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ჩამოყალიბებული ხედვა და მის საქმიანობაში არაა წარმოდგენილი და/ან დაგეგმილი კომპლექსური კვლევითი/განვითარების/სახელოვნებო-შემოქმედებითი აქტივობები.

კვლევის შედეგები ნაწილობრივ ინტეგრირებულია დაწესებულების სასწავლო საქმიანობაში, რადგან მთელი რიგი სილაბუსები ეყრდნობა თანამედროვე სტანდარტებს და ლიტერატურას.

კოლეჯს არ გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამასთან კომპონენტები 7.3 - **საინფორმაციო რესურსი** შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

უსდ-ს გააჩნია ოფიციალური ვებ-გვერდი სამ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდის ინგლისური ვერსია პრაქტიკულად არ მუშაობს, რადგან ან ქართული დოკუმენტაცია იხსნება ან საერთოდ ცარიელია. დაწესებულებამ სათანადოდ უნდა აღწეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უნდა შეიმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები,

## რეკომენდაციები

**სტანდარტი 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**

- სასწავლებლის ვებ-გვერდზე აიტვირთოს მხოლოდ მოქმედი დოკუმენტი - კოლეჯის მისია, მიღებული 03.01.2019.
- სამოქმედო გეგმაში ნათლად განისაზღვროს განსახორციელებელი აქტივობების განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები
- სტრატეგიული მიზნები - მონიტორინგი და ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი წარმოდგეს და განხორციელდეს როგორც მექანიზმი და არა სტრატეგიული მიზანი.
- გაუმჯობესდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, მონიტორინგის შედეგებზე სათანადო რეაგირებით.

**სტანდარტი 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

- გაუმჯობესდეს სასწავლებლის სტრუქტურა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, მათ შორის, სტრუქტურას დაემატოს ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური, დაკორექტირდეს ან გაუქმდეს 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეულის სტრუტურული ერთეული.
- ნათლად და მკაფიოდ გაიწეროს სენატის წევრების (მათ შორის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების) არჩევის, კენჭისყრის ან შერჩევის პროცესი
- შემუშავდეს სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.
- შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა;
- შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას მარტივი, ეფექტური და განხორციელებადი პროცედურები/მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში. დაწესებულებამ დახვეწოს და პრაქტიკულად განახორციელოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ისე რომ განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი (პროგრამის ხელმძღვანელები, სტრუქტურული დანაყოფები და სხვა);
- დადგენილი პერიოდულობით განხორციელდეს სტუდენტთა და სხვა პირთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- შემუშავდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;
- შემუშავდეს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას.
- შემუშავდეს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები.

**სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები**

- დაწესებულებამ შიდა ხარისხის მექანიზმების გამოყენებით შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების არსებული დოკუმენტების გამართულობა, გააუმჯობესოს და ნათელი გახადოს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი და პროცედურები.
- მოდერნიზდეს „სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩატარების წესი“ უფრო მოქნილი, გამჭვირვალე და სწავლის შედეგების ადექვატურ შეფასების მიდგომებზე ორიენტირებით.
- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სწავლის შედეგის შეფასებისათვის ნათლად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები.

**სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი**

- შემუშავდეს პერსონალის მართვის პოლიტიკა მწყობრი სისტემით;
- საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კოლეჯმა უნდა დაადგინოს სამიზნე ნიშნულები და ზრუნავდეს მათ გაუმჯობესებაზე.
- კოლეჯმა პერსონალის მართვასა და განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები.

**სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

- კოლეჯმა უნდა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტთა კარიერული წინსვლისა და მხარდაჭერის სერვისების მიწოდებაზე.

**სტანდარტი 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

- შემუშავდეს დაწესებულების, როგორც კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ხედვა და მის საქმიანობაში აისახოს კვლევითი აქტივობები.
- დაწესებულებამ უნდა დაგეგმოს დ განავითაროს კვლევითი აქტივობები ისე, რომ უპასუხოს მოთხოვნას: „ახორციელებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე".
- შემუშავდეს კვლევის განვითარებისა და და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სამუშაოებში, რაც მიმდინარე ეტაპზე შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შეთავაზა ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.
- პრაქტიკაში დაინერგოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

- უსდ-მ უზრუნველყოს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის, ტექნიკური მექანიკის და ელექტრო მექანიკის ლაბორატორიების მოწყობა.
- შეიცალოს ბიბილიოთეკის სამუშაო განრიგი და მოვიდეს სტანდარტთან შესაბამისობაში - კვირაში არანაკლებ 6 დღე, 60 საათი;
- უსდ-მ უზრუნველყოს საერთაშორისო ბაზებთან წვდომა.
- შეიმუშავეთ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებული ინფრასტრუქტურის შეფასებაზე დაყრდნობით.
- უზრუნველყოფილ იქნას უსდ-ს ვებ-გვერდის სრულყოფილი ფუნქციონირება;
- დაიგეგმოს და გონივრულ ვადაში მოხდეს საინფორმაციო რესურსების სრულფასოვანი ფუნქციონირება და ხელმისაწვდომობა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.
- უსდ-მ შეიმუშაოს და განავითაროს ელექტრონული პორტალი სტუდენტების სარგებლობისთვის.
- გადაიხედოს საფინანსო განყოფილების დებულება და ჩამოყალიბდეს ბიუჯეტის შედგენის პროცესი და პასუხისმგებლობები;
- უსდ-მ უნდა შეადგინოს ორგანიზაციის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება ასახული შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი და შესაბამისად იქნება გათვლილი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დაფინანსება სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის.

## რჩევები

**სტანდარტი 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**

- მისიის განაცხადისა და მიზნების ლაკონურად ჩამოყალიბება უკეთ წარმოაჩენს დაწესებულებას;
- უსდ-ს მიზნები, მისიისა და საქმიანობის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, აისახოს სტრატეგიულ გეგმაში.

**სტანდარტი 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

- განხორციელდეს ისო სტანდარტის მიხედვით შემუშავებული დოკუმენტაციის გადახედვა ოპტიმიზაციის მიზნით და მოხდეს მათი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებთან შესასაბამისობაში მოყვანა.

**სტანდარტი 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში კოლეჯმა ითანამშრომლოს სხვადასხვა უცხოურ უსდ-თან სტუდენტების და პერსონალის გაცვლის თაობაზე

**სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

- სასურველია სასწავლებელს ჰყავდეს ფინანსური მენეჯერი.

## დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|
| **1.** | **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ის მისია | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 1.2 | სტრატეგიული განვითარება | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| **2.** | **უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა** | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.2 | ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა | ☐ | ☐ | ☐ | ☒ |
| **3.** | **საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 3.1 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლის შედეგების შეფასება | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **4.** | **უსდ-ის პერსონალი** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალის მართვა | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **5.** | **სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **6.** | **კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა** | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☒ |
| **7.** | **მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.3 | საინფორმაციო რესურსები | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ციცინო თურქაძე
2. ნინო გორგოშაძე
3. დავით ტეფნაძე
4. ნინო ორაგველიძე

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

### 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

**უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.**

| 1.1 უსდ-ის მისია |
|---|
| უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კოლეჯის მიერ წარდგენილ პაკეტში, რომელიც გადმოეცა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისათვის, წარმოდგენილი იყო კოლეჯის მისია, მიღებული 04.01.2018.<br>ექსპერტთა ჯგუფს, ადგილზე ვიზიტის დროს მოუხდა შეეფასებინა უსდ-ს ახალი მისია, რადგან კოლეჯის სენატის სხდომის მიერ 03.01.2019 დამტკიცებულ იქნა ახალი მისია, რომელიც წარმოადგენს ძველი მისიის მოდიფიცირებულ ვარიანტს.<br>დაწესებულების მისიაში გაცხადებულია უსდ-ს როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე:<br>სასწავლებელი სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული კოლეჯია, რომელიც „ახორციელებს უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად სარგებლობს ორი მთავარი პრინციპით: სტანდარტთან შესაბამისობა და მომხმარებლის არსებული და მოსალოდნელი მოთხოვნების დაკმაყოფილება”.<br>სასწავლებელი ასევე წარმოადგენს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრს, რომელიც აღიარებულია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.<br>მისიაში გაცხადებულია, რომ კოლეჯი „საერთაშორისო შრომის ბაზრისა და საერთაშორისო საზღვაო კონვენციის STCW სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს მაღალკვალიფიცირებულ, მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრებს როგორც საზღვაო ტრანსპორტის, ასევე საზღვაო სფეროს სხვა დარგებში დასასაქმებლად”.<br>დაწესებულება საბაკალავრო პროგრამებს ახორციელებს წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მაგლითად, 2017 წელს საბაკალავრო პროგრამები შემუშავებულ იქნა: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით; „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978/95 წლის საერთაშორისო კონვენციის 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში STCW კონვენციის გათვალისწინებით; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და საზღვაო დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით.<br>უსდ-ს მისიაში გაცხადებული აქვს თავისი როლი და ადგილი ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში, რაც ნათლად არის ასახული მისიის და ღირებულებების ნაწილებში.<br>უსდ-ს მახასიათებლები ჩამოყალიბებულია და შესაბამისობაშია სასწავლებლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან.<br>მისიის დოკუმენტი ვრცელია, მასში ვრცლადაა წარმოდგენილი ღირებულებები, მიზნები და ამოცანები.<br>მისიის დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაწესებულების ყველა თანამრომლისთვის და გაზიარებულია სასწავლებლის ვებ-გვერდზე. როგორც ავღნიშნეთ, დაწესებულებამ ინტერვიუს დროს წარმადგინა განახლებული მისია, რომელიც გამოსცა 2019 წლის 3 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფმა იმავე დღეს ვებ-გვერდზე გადამოწმებისას აღმოაჩინა, რომ დაწესებულებას ვებ-გვერდზე მისია ატვირთული აქვს სხვადასხვა ადგილას, განსხვავებული ძველი და ახალი ვერსიები, რაც პოტენციურად ხელის შემშლელი პირობაა რეალური მისიის გააზიარებაში თანამშრომლების მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინოფრმაციას ახალი მისიის არსებობის შესახებ ფლობდა ინტერვიუზე გამოცხადებული პერსონალი.<br>აღსანიშნია ასევე ის ფაქტი, რომ მისიის დოკუმენტი ძალიან ვრცელია, სასწავლებლის მიზნებში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, რომელთანაც გარკვეულწილად გაიგივებულია კოლეჯის მიზნები. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უსდ-ს მისია (დამტკ. 2018 წლის 04 იანვარს) http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=1&lang=ge;
- უსდ-ს მისია (დამტკ. 2019 წლის 03 იანვარს) http://mtc-anri.edu.ge/uploads/shida%20normatiuli/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90a%20-%2003.01.19.pdf
- უსდ-ს ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- სასწავლებლის ვებ-გვერდზე აიტვირთოს მხოლოდ მოქმედი დოკუმენტი - კოლეჯის მისია, მიღებული 03.01.2019.

**რჩევები:**

- მისიის განაცხადისა და მიზნების ლაკონურად ჩამოყალიბება უკეთ წარმოაჩენს დაწესებულებას;
- უსდ-ს მიზნები, მისიისა და საქმიანობის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, აისახოს სტრატეგიულ გეგმაში.

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 სტრატეგიული განვითარება**

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით კოლეჯმა შეიმუშავა და დაამტკიცა (12.06.2018) 3 წლიანი სამოქმედო და 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები, სადაც ჩამოყალიბებულია მიზნებისა და ამოცანების მისაღწევი ქმედებები.

განვითარების 7-წლიან სტრატეგიული გეგმაში გაწერილია სასწავლებლის მოკლე ისტორია, ღირებულებები და პასუხისმგებლობა, ძლიერი და სუსტი მხარეები, სტრატეგიული მიზნები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ასახავს სასწავლებლის გეგმებს; სამწლიანი სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაზე;

უსდ-ის სტრატეგიული მიზნები გამომდინარეობს მისი მისიიდან, მისი საქმიანობის პრიორიტეტებიდან, თუმცა არ არის ნათლად დროში გაწერილი და გაზომვადი. სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების კრიტერიუმები და საჭირო რესურსები.

უსდ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდად იყენებს ე.წ. SWOT ანალიზს, რის საფუძველზეც შემდგომ შემუშავებული აქვს სტარტეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები.

უსდ-ს გათვალისწინებული აქვს სტრატეგიულ გეგმაში ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში წვლილის შეტანაში, თუმცა დოკუმენტში არ არის გამოკვეთილი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა ამ პროცესებში. დაწესებულებას სტრატეგიულ მიზნებში გათვალისწინებული აქვს კულტურულ-მასობრივ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა და ასევე თემატური შეხვედრების მოწყობა.

განვითარების სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია გენერალური დირექტორის/რექტორის მიერ, თუმცა მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის მტკიცებულება იმისა, რომ გეგმა შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით.

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები მოიცავს უსდ-ს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა ასპექტს, გარდა კვლევითი კომპონენტისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული მიზნების მე-5 და მე-6 მიზანი (მონიტორინგი და ხმს ანალიზი) არის ყველა დანარჩენი მიზნის მიღწევის ინსტრუმენტი/მექანიზმი და არა მიზანი.

სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რაც გულისხმობს შემოწმებას არანაკლებ ერთისა წელიწადში შესაბამისი დაგეგმვით და ანგარიშით, თუმცა მტკიცებულება დაგეგმილი შემოწმების თაობაზე არ არის მოწოდებული.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისიწნებით კოლეჯმა ასევე განაახლა შიდა დოკუმენტი შემდეგი დასახელებით „ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო, სამწლიანი სამოქმედო და 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება"; ახალი ვერსია #2 მოიცავს ერთწლიანი სამოქმედო, სამწლიან სამოქმედო და 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის პროცესებს; ჩამატებულია დანართი სამწლიანი სამოქმედო გეგმის ნიმუში. ასევე შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების და 1 წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების და მათი შესრულების დებულებები. აღნიშნული დებულებების მიხედვით მათი შერულების შედეგების შემოწმება ხდება წელიწადში ერთხელ პასუხისმგებელი პირის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ამ დებულების გამოყენება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისათვის დასტურდება მხოლოდ დაწესებულების მიერ წარმოადგენილი 2018 წლის ხარისხის მართვის სისტემის ანალიზით, სადაც აღნიშნულია, რომ „შპს ბუსსს ანრის განყოფილებების უფროსების 6 თვის და წლიური ანგარიშების საფუძველზე ხდებოდა სასწავლებლის წლიური სამოქმედო გეგმების, მათ შორის სტრატეგიული გეგმის, გადახედვა და შესრულებული ღონისძიებების აღნიშვნა".

უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში, რისთვისაც გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს:

- 2017 წელს შპს ბუსსს ანრიმ მიიღო მონაწილეობა კომპანია „არიკ ჯგუფი"–ს (Aric Group) მიერ ორგანიზებულ ფისტას დარგვის გრანდიოზულ ცერემონიაზე. ღონისძიება გაიმართა დედამიწის დღეს - 2017 წლის 22 აპრილს "Vinichio Valley"-ში, კახეთში. სასწავლებლის სახელით დაირგა ოთხი ძირი ფისტა.
- 2017 წლის განმავლობაში შპს ბუსსს ანრიმ მიიღო მონაწილეობა არაერთ ღონისძიებაში, მათ შორის მეზღვაურთა საერთაშორისო დღისთვის მიძღვნილ გამოფენაში.
- შპს ბუსსს ანრი გახდა ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს წევრი. ამასთან შპს ბუსსს ანრის ორი
- თანამშრომელი: ქალბატონი რუსუდან დიასამიძე და ქალბატონი ნინო ნაკაშიძე, გახდნენ ქალთა საერთაშორისო სანაოსნო და სავაჭრო ასოციაციის (WISTA - Women's International Shipping & Trading Association) წევრები.
- 2012 წლიდან ჩვენი სასწავლებელი გაწევრიანებულია უშიშროების და გადარჩენის წვრთნების საერთშორისო ასოციაციაში და 2017 წელს დაესწრო IASST-ს შეხვედრა-კონფერენციას, რომელიც შედგა ბათუმში.
- 2017 წელს სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვაძე" გამოყენებულ იქნა საზღვაო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სამძბერო-გადარჩენით წვრთნებში.
- 2018 წლის განმავლობაში სასწავლებლის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში საქართველოს მაშტაბით, აწყობდნენ თემატიკურ საღამოებს, სასწავლებლის პრეზენტაციით იმყოფებოდნენ ზემო აჭარაში. აქტიურად მოღვაწეობდა სტუდენტური თვითმმართველობა.
- 2018 წლის განმავლობაში შპს ბუსსს ანრიმ მიიღო მონაწილეობა არაერთ საქველმოქმედო ღონისძიებაში, მათ შორის ფონდი ოცნება და აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანის" საქველმოქმედო კონცერტი და საქართველოს კერძო უმაღლესი სასწავლებელბის ასოციაცის ორგანიზებით რამოდენიმე აქციაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უსდ-ს მისია;
- 3 წლიანი სამოქმედო გეგმა;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ხარისხის მართვის სისტემის ანალიზები -2017, 2018
- უსდ-ს ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- სამოქმედო გეგმაში ნათლად განისაზღვროს განსახორციელებელი აქტივობების განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები
- სტრატეგიული მიზნები - მონიტორინგი და ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი წარმოდგეს და განხორციელდეს როგორც მექანიზმი და არა სტრატეგიული მიზანი.

| |
|---|
| • გაუმჯობესდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, მონიტორინგის შედეგებზე სათანადო რეაგირებით. |
| **რჩევები:** - |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

| 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა |
|---|
| o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.<br>o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.<br>o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.<br>o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>უსდ-ს მიერ მოწოდებული სტრუქტურული სქემით შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება და მიზნების მიღწევა. მაგალითად: სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიზნები, როგორიცაა „სასწავლებლის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში“, „განათლების სტანდარტების ამაღლება“, „სტუდენტების მხარდაჭერა“, „მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება“ და „ინტერნაციონალიზაცია“ და მათი ამოცანების შესრულება შესაძლებელია სტრუქტურაში აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების მიერ, თუმცა სტრუქტურიდან ჩანს, რომ ინტერნაციონალიზაციაზე პასუხსიმგებელი ერთეული არის „საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილება, რომლის ხელმძღვანელი ასევე არის ხარისის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.<br>უსდ-ს მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური. ინფორმაციული რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯში ხელშეკრულებითაა აყვანილი. ინტერვიუზე გამოჩნდა, რომ იგი ასრულებს საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოს და დაწესებულებას აქვს სამომავლო გეგმები ინორმაციული რესურსების განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულების სტრუქტურასა და მართვაში უნდა აისახოს ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური.<br>სტრუქტურაში ასევე ნაჩვენებია 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეული, რომელიც ექვემდებარება სასწავლო განყოფილების საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტს, თუმცა ინტერვიუების დროს არანაირი მტკიცებულება მის შესახებ არ წარმოდგენილა.<br>მიუხედავად დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტრუქტურული სქემისა, ვიზიტის ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ ყველა თანამშრომელი ექვემდებარება უშუალოდ გენერალურ დირექტორს და ანგარიშვალდებულები იყვნენ მის წინაზე.ზოგადად გაურკვეველია სტრუქტურული სქემის თანამშრომლების მიერ აღქმის საკითხი, რადგან ინტერვიუების დროს პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი აღნიშნავდა, რომ პირდაპირ გენერალური დირექტორის დაქვემდებარებაშია. მაგ: სტრუქტურული სქემის მიხედვით „შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილება“ ექვემდებარება „სამეურნო დარგის განყოფილებას“, თუმცა ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელი არ მიიჩნევდა, რომ მისი სამსახური ექვემდებარებოდა სამეურნეო დარგის განყოფლებას. მისი აღნიშნვნით იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა გენერალურ დირექტორს. ასევე ერთ-ერთი თანამშრომელი ასრულებდა სამეურნეო დარგის განყოფილების თანამშრომლის მოვალეობას, ასევე პრაქტიკულად და არა საშტატო განრიგის მიხედვით ასრულებდა სამეურნეო დარგის სამსახურის თანამშრომლის მოვალეობასაც, თუმცა მას ინფორმაცია არ ჰქონდა სტრუქტურული სქემაში ზემოთაღნიშნული ორი სამსახურის ერთმანეთთან მიმართების შესახებ.<br>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხსიმგებლობები აღწერილია შესაბამის დებულებებში, თუმცა არა ყველა სტრუქტურული ერთულისათვის, მაგ: იურიდიული განყოფილება, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული ერთულების ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა არ ჩანს, რადგან ყველა თანამშრომელი თვლის, რომ პირდაპირ პასუხსიმგებელია გენერალურ დირექტორთან. |

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საშტატო განრიგი, რომელიც დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 3 იანვარს, წინააღმდეგობაში მოდის სტრუქტურულ სქემასთან, რომელშიც საერთოდ არ ჩანს გენერალური დირექტორის მოადგილეები, მრჩეველი, საფინანსო განყოფილების უფროსი, მხატვარი და სხვა.

უსდ-ს მართვის ორგანოები არის: გენერალური დირექტორი, რექტორი, სენატი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სენატი მოიცავს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, რომლის წევრებიც აირჩევიან კენჭისყრით და ასევე ინიშნებიან ბრძანებით. სენატის წევრების არჩევა/დანიშვნა აღწერილია სენატის დებულებაში, ხოლო რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების არჩევ/დანიშვნა აღწერილია შინაგანაწესში. სენატის დებულებაში აღნიშნულია, რომ „სენატი წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლეს/ადმინისტრაციულ წარმომადგენლობით და რექტორის სათათბირო ორგანოს, რომლის წევრებიც აირჩევიან კენჭისყრით და ბრძანებით“.

ამასთან „3. სენატის წევრად აირჩევა სასწავლებლის თანამშრომელი, ასევე პროფესორის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი; 4. გარდა აკადემიური პერსონალისა, სენატის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას იმ დარგის სპეციალისტები - კაპიტნები, უფროსი მექანიკოსები, ელექტროკოსები და სხვა, რომლებიც ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში; 5. სეტანის შემადგენლობა განახლება/ წევრების ცვლილება ხდება გენერალური დირექტორის/რექტორის ბრძანებით“.

სენატის დებულებაში არ არის წარმოდგენილი თუ რა პროცედურა გამოიყენება სენატის წევრების კენჭისყრის თუ არჩევის დროს.

სენატის დებულებაში აესვე აღნიშნულია, რომ სენატში „საჭიროებისამებრ მოიწვევა სტუდენტთა თვითმართველობის წარმომადგენლები. სენატში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს სენატის შემადგენლობის ერთ მეოთხედს“. ამ ეტაპზე სტუდენტები სენატში არ არიან წარმოდგენილი, ხოლო წარმოდგენილი ჩანაწერი „საჭიროებისამებრ მოიწვევა“ - ბუნდოვანია.

კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევისა და დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. კოლეჯი წარმოადგენს შპს-ს და მასზე არ ვრცელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის ის მითხოვნები, რომელიც განცალკავებულად წაეყენება სსიპ უმაღლეს დაწესებულებებს. კოლეჯის მართვის ორგანოებში არჩევისა და დანიშვნის პროცედურა საჭიროებს დახვეწას.

მართვის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებები ხორციელდება სენატის შეკრების თუ ხელმძღვანელობის შემაჯამებელი ანგარიშების ჩატარების დროს, რაც ფიქსირდება შესაბამისი ოქმებით.

საქმისწარმოებისათვის კოლეჯი იყენებს საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების დებულებას, რომელიც მომზადებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების

მოთხოვნებით:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ პრეზიდენტის განკარგულება 414 -1999წ
4. შპს ბუსსს ანრის წესდება;
5. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
6. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის

პროცედურა, თუმცა უსდ-ს არ გააჩნია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს რისკების მართვის პროცედურა, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა შესაძლო რისკის დადგენის წესი, მათი მართვის მექანიზმები, კატეგორიები, გავლენა და მათი შემცირების გზები. ასევე შემუშავებული აქვს რისკების შეფასების და პრევენციის გეგმა, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული რისკი, მისი წარმოშობის ალბათობით და შედეგით და მათი თავიდან აცილებისთვის საჭირო პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული იძლევა საშუალებას რათა უზრუნველყოფილი იყოს ძირითადი პროცესების უწყვეტობა.

უსდ-ის ხელმძღვანელობას მისიისა და მიზნების შესაბამისად შემუშავებული უნდა ჰქონდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროგრამების/პროექტების შემუშავება/განხორციელება, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას და სხვა;

უსდ-ს გათვალისწინებული აქვს ინტერნაციონალიზაცია სტრატეგიულ გეგმაშიც და ამისათვის შექმნილი აქვს ცალკე სტრუქტურული ერთული „საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილება“, თუმცა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა არ არის შემუშავებული.

ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კოლეჯის მნიშვნელოვანი მიღწევები:

- 2012 წლის სექტემბრიდან უსდ-ს აქვს უფლება აწარმოოს უცხო ქვეყნების სტუდენტების ინგლისურ და რუსულ ენაზე სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურზე,

| |
|---|
| სპეციალობებით: გემბანის მეზღვაური (მატროსი) და სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი).<br>• შპს ბუსსს ანრი სერტიფიცირებულია საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:2015 . ასევე IQNეტ-ის სერტიფიკატის შესაბამისად.<br>• შპს „ბუსსს ანრი“ არის ისეთი ორგანიზაციების წევრი, როგორიცაა: საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია, აარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავტა ასოციაცია; ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს წევრი.<br>• საერთაშორისო ასოციაციაციები: IASST–ის (უშიშროებისა და გადარჩენის წვრთნების (მომზადების) საერთასორისო ასოციაცია) და Global MET–ის (გლობალური საზღვაო განათლება და მომზადება) BSAMI-ს (შავი ზღვისპირეთის საზღვაო სასწავლებლების ასოციაცია).<br>• ლექციებს და კურსებს კითხულობს გამოცდილი საზღვაო სპეციალისტები, კვალიფიცირებული პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები.<br>• წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში კურსები ტარდება საერთაშორისო, ეროვნული და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოდელ კურსების მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული პროგრამებით.<br>• სასწავლებელში არის საერთო საცხოვრებელი საქართველოს სხვა რეგიონებიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის.<br>• შპს ბუსსს ანრი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო კრუინგულ და გემთმფლობელ კომპანიებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>1. საშტატო განრიგი (2019 წლის 3 იანვარის ვერსია), რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=14&lang=ge<br>2. სასწავლებლის სტრუქტურა http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=3&lang=ge<br>3. სენატის დებულება;<br>4. შინაგანაწესი;<br>5. რისკების დოკუმენტი;<br>6. ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br>1. გაუმჯობესდეს სასწავლებლის სტრუქტურა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, მათ შორის, სტრუქტურას დაემატოს ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური, დაკორექტირდეს ან გაუქმდეს 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეულის სტრუტურული ერთეული.<br>2. ნათლად და მკაფიოდ გაიწეროს სენატის წევრების (მათ შორის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების) არჩევის, კენჭისყრის ან შერჩევის პროცესი;<br>3. შემუშავდეს სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. |
| **რჩევები:** - |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები** |
| o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.<br>o უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. |

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კოლეჯის მიერ წარდგენილი პაკეტისაგან (რომელიც გადმოეცა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისათვის) განსხვავებით, დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს მოუწია ახალი დოკუმენტაციების შესწავლა, რომელიც სასწავლებელმა 2019 წლის იანვარ-თებერვლის თვეში შეიმუშავა.

ამ მხრივ აღსანიშნავია დოკუმენტი „ხარისხის პოლიტიკა და მიზნები“, რომელიც დამტკიცებულია სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ ( 2019 წლის 03 იანვრის სენატის სხდომა, ოქმი N01; გენერალური დირექტორის 2019 წლის 03 იანვრის ბრძანება N01); დოკუმენტში არსებული ჩანაწერის თანახმად, არსებული დებულება ითვლება ნორმატიულ დოკუმენტად და წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის ხარისხის მართვის სისტემის პოლიტიკასა და მიზნებს.

დოკუმენტი ატარებს ზოგად ხასიათს და სისტემურად ვერ ასახავს სასწავლებლის ხარისხის მართვას. დაწესებულებაში ხარისხის მართვის საკითხებზე შექმნილია და მოქმედებს არაერთი ნორმატიული დოკუმენტი, რომელთა შორის კავშირებისა და გამოყენებული მექანიზმების სისტემურად შეფასება ძალიან რთულია. სხვადასხვა დოკუმენტი

დაწესებულებას დანერგილი აქვს ისო 9001:2015 სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა, რომლის მიხედვითაც შემუშავებული აქვს ძალიან ბევრი ნორმატიული დოკუმენტი და პროცედურა, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ არის სათანადოდ გამოყენებადი. ზოგიერთი მათგანი ძალიან ზოგადია (მაგ. ხარისხის პოლიტიკა და მიზნები-2019), ზოგიერთი კი კომპლექსური და შეუსაბამო საკითხებით გადატვირთული. მაგალითად, დაწესებულებაში ყოველწლიურად სრულდება ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი, თუმცა გაუგებარია რატომ არის წლიური ანგარიშები ნორმატიული დოკუმენტისა და დებულების სახით წარმოდგენილი; დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მექანიზმები” ჩაშენებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი“, ”კრედიტების აღიარების წესი” და სხვა საკითხები, რომლებიც არ არის შინაარსობრივად ამ დოკუმენტის შესაბამისი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალი ისო სტანდარტის მოთხოვნები ორიენტირებულია დოკუმენტირებული ინფორმაციის არსებობაზე და ხელმისაწვდომობაზე. ავტორიზაციის სტანდარტები ასევე მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურ განხორციელებას.

დაწესებულებამ უნდა გაამარტივოს ნორმატიული აქტები და შექმნას ქმედითი და პრაქტიკაში კარგად გამოყენებადი მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის, ყველა რგოლის ეფექტური ჩართულობით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც ნათლად და მკაფიოდ იქნება იდენტიფიცირებული რომელი სტრუქტურა და რგოლი რა საქმეს აკეთებს.

უდავოა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესრულებული და თავის თავზე აქვს აღებული ძირითადი საქმე ხარისხის მართვის სისტემის პოლიტიკის განხორციელებაში.

უსდ-ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში წარმმართველია ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია შპს ,,ბუსსს ანრი“-ს სენატის სხდომის და გენერალური დირექტორი/რექტორის წინაშე. სამსახური ყოველი წლის ბოლოს ამზადებს ხარისხის მართვის სამსახურის ანალიზს, რომელსაც წარუდგენს სენატის სხდომას და გენერალური დირექტორს/რექტორს. სამსახურის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება სასწავლებლის სასწავლო და სამეცნირო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე პესონალის კვალიფიკაციისა და ხარისხის სისტემატური შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ნებისმიერ დოკუმენტს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი სასწავლებლის ყველა სტრუქტურისათვის, მისი შესრულება წარმოადგენს სასწავლებლის საქმიანობის წარმატებით განხორციელების წინაპირობას.

დაწესებულება ხარისხის მართვის სისტემის ანალიზს ყოველწლიურად ახორციელებს. დაწესებულებამ წარმოადგინა 2018 წლის ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სენატის სხდომაზე (ოქმი № 34 – 31.12.2018). ანალიზში აღნიშნულია, რომ იგი წარმოადგენს მეთოთხმეტეს სასწავლებლის ჩამოყალიბებიდან დღემდე. ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის 2016, 2017 და 2018 წლების დოკუმენტები ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეულ სამუშაოებს, საიდანაც იკვეთება , რომ უსდ-ის ხელმძღვანელობა შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შეფასება ვერ მოხერხდა შესაბამისი დოკუმენტების მოუწოდებლობის გამო, კერძოდ: აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე

| |
|---|
| პერსონალის შეფასება, პროგრამების შეფასება, მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასება, თუმცა 2018 წლის ხარისხის მართვის სისტემის ანალიზში აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ განაახლა ნდ 2-0401-11 „საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მექანიზმები 22.09.2014წ. დამტკიცებული ვერსია N1 განახლდა ვერსია N2 (23.03.2018 წ.).<br>დაწესებულება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს იყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის დასტურია აკადემიური მოსწრების ანალიზი - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის სახით. აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების მიხედვით უზრუნველყო დამატებითი მეცადინეობები უცხო ენასა და ფუნდამენტურ/დარგობრივ დისციპლინებში. დაწესებულებამ უნდა განავითაროს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მონიტორინგის შედეგები გაითვალისწინოს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;<br>სასწავლებელმა უნდა შექმნას ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების გამოკითხვების სანდო და მდგრადი პრაქტიკა, რომლის შესაბამისად პერიოდულად მოახდენს მის მიერ მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. შეფასების შედეგების გამოყენებას მათი შემდგომი განვითარებისთვის. შემუშავდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• ისო 9001:2015 -ის მიხედვით გაწერილი ბევრი პროცედურა.<br>• http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=16&lang=ge<br>• ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი-2018<br>• აკადემიური მოსწრების ანალიზი - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის სახით. |
| **რეკომენდაციები:**<br>• შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა;<br>• შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას მარტივი, ეფექტური და განხორციელებადი პროცედურები/მექანიზმები შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში. დაწესებულებამ დახვეწოს და პრაქტიკულად განახორციელოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ისე რომ განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი (პროგრამის ხელმძღვანელები, სტრუქტურული დანაყოფები და სხვა);<br>• დადგენილი პერიოდულობით განხორციელდეს სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;<br>• შემუშავდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები; |
| **რჩევები:**<br>განხორციელდეს ისო სტანდარტის მიხედვით შემუშავებული დოკუმენტაციის გადახედვა ოპტიმიზაციის მიზნით და მოხდეს მათი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებთან შესასაბამისობაში მოყვანა. |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა** |
| o უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.<br>o უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.<br>o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. |

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აღნიშნულ სქვესტანდარტთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფმა ვერ მოხერხდა მოახერხა ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის შეფასება და ასევე პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურების შეფასება, რადგან ისინი უსდ-ს არ შეუმუშავებია და შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილი ჯგუფის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული შეხვედრისა და ინტერვიუს დროს უსდ-ს იურისტმა აღნიშნა, რომ დაგეგმილია ამ დოკუმენტების შემუშავება.

რაც შეეხება აკადემიურ თავისუფლებას, უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებულია, რომ მთავარი ფასეულობებია: აზრის გამოხატვის თავისუფლება; პიროვნების დისკრიმინაციის დაუშვებლობა; პროფესიონალიზმი; ღირსების კოდექსის განუხრელი დაცვა.
ნორმატიულ დოკუმენტებში, რომელიც ასახავს აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობებს არ არის აკადემიური თავისუფლების შემზღუდავი ჩანაწერები.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიურებისას არ გამოვლენილა აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უსდ-ს მისია
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

1. შემუშავდეს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას.
2. შემუშავდეს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3. საგანმანათლებლო პროგრამები

**უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.**

| 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება |
|---|
| უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>სასწავლებლის მიერ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების აგების ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის რექტორის მიერ (2017 წლის 26 ივნისის სენატის სხდომის ოქმი N16);<br>აღნიშნული ინსტრუქცია კოლეჯის მიერ ასოცირებულია როგორც დებულებასთან, ასევე პროცედურასთან. პროგრამების აგების ინსტრუქცია ასევე მოხსენიებულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების ინსტრუქცია.<br>ინსტრუქცია ადგენს პროგრამების შემუშავების ძირითად მოთხოვნებს (საგანამანათლებლო პროგრამის მიზანი და ამოცანები, საგნობრივი სილაბუსების შედგენა, სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია, სწავლებისა და სწავლის მეთოდები) და კოლეჯის მმართველობითი და სასწავლო პროცესის უზრუნველმყოფი სტრუქტურების/პირების პასუხისმგებლობებს. |

ინსტრუქცია გარკვეულწილად მოიცავს პროცედურის ელემენტებსაც, რომელიც ეხება პროგრამების შემუშავებას, დამტკიცებას და ცვლილებების შეტანას, თუმცა ეს საკითხები არ არის წარმოდგენილი გამართული პროცედურების სახით.

მაგალითად, რაც შეეხება **პროგრამების დამტკიცებას**:

ქვეთავი 4.4. საგანმანათლებლო პროგრამის აგების წესი - ჯერ აღწერს პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის ელემენტებს და შემდეგ - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აგების მოთხოვნებს.

თავში 6. სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია ბუნდოვანია ჩანაწერი - „2) სილაბუსის პროექტი, განხილული და დამტკიცებული სენატის მიერ მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა წარედგინოს სასწავლო პროცესის დაწყებამდე,არაუგვიანეს 1 თვისა“;

რაც შეეხება **პროგრამაში ცვლილებების შეტანას**, ამავე დოკუმენტში არის შემდეგი ჩანაწერები:

- „საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლიელბების შეტანა ხორციელდება გამომდინარე ცვლიელებეიდან განათლების ეროვნულ საკვალიფიკაციო ცარჩოში ან კვალიფიკაციის მარეგულირებელ ნაციონალურ და საერთაშორისო სტანდარტებში“ (ქვეთავი 4.4. პუნქტი 2)
- „სილაბუსში შესწორების შეტანა სწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებებიდან გამომდინარე” (თავი 6. პუნქტი 3);

ამ ჩანაწერებიდან გამომდინარე, პროგრამებში ცვლილებების შეტანა ვერ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით და შესაბამისად, ნაკლებად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების (პერსონალისა და სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს და ა.შ.

სტანდარტის მიხედვით პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება და ასევე განვითარებაც, ურთიერთანამშრომლობითი პროცესი უნდა იყოს და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები), რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას;

კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების ეტაპზე ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას; კოლეჯი მუშაობს პროგრამების განახლებასა და განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მუდმივად ცვალებად გარემოსთან.

წარმოდგენილი და ხელმისაწვდომი დოკუმენტების ანალიზით დაწესებულებას არ აქვს პროგრამების გაუქმების პროცედურა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მართვის პროცედურა;
- სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩატარების წესი;
- სასწავლო განყოფილება - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის სახით;
- 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი;
- სასწავლო საზღვაო პრაქტიკის ანგარიში - პრაქტიკის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის სახით;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი (2018 წლის დეკემბერი);
- საბაკალავრო პროგრამა „გემის ინჟინერ-მექანიკოსი“ პაკეტი - კურიკულუმისა და სილაბუსების სახით;
- საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“ პაკეტი - კურიკულუმისა და სილაბუსების სახით.
- საგანმანათლებლო პროგრამების აგების ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის რექტორის მიერ (2017 წლის 26 ივნისის სენატის სხდომის ოქმი N16);
- http://mtc-anri.edu.ge/text.php?id=14&lang=ge

**რეკომენდაციები:**

- დაწესებულებამ შიდა ხარისხის მექანიზმების გამოყენებით შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების არსებული დოკუმენტების გამართულობა, გააუმჯობესოს და ნათელი გახადოს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი და პროცედურები.

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ახორციელებს აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამებს:

- საბაკალავრო პროგრამა „გემის ინჟინერ-მექანიკოსი“;
- საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“.

ამ პროგრამების სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან (პირველი საფეხური - ბაკალავრიატი). აღნიშნული პროგრამების სფერო რეგულირებადია, პროგრამა შემუშავებულია ამ პროგრამების შესაბამისი სტანდარტის დაცვით. პროგრამის კომპონენტის მოცულობის განსაზღვრა ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით; საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას, რისთვისაც შექმნილი აქვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მართვის პროცედურა. ამ პროცედურაში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდიკა. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სასწავლო განყოფილება-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უფროსმა და პროფესორ-მასწავლებლებმა შესაძლებელია სტუდენტთან შეთანხმებით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მართვის პროცედურა;
- საბაკალავრო პროგრამა „გემის ინჟინერ-მექანიკოსი“ პაკეტი - კურიკულუმისა და სილაბუსების სახით;
- საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“ პაკეტი - კურიკულუმისა და სილაბუსების სახით.

**რეკომენდაციები: -**

**რჩევები: -**

**შეფასება:**

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სწავლების, მომზადების პროცესი მომდინარეობს შემუშავებული, დამტკიცებული და აღიარებული პროგრამების საფუძველზე, ვიდეო მასალის, კურსის შესაბამისი სიმულატორების გამოყენებით.

სრულყოფილი პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად სასწავლებელს გააჩნია თ/მ "კაპიტანი ოთარ ჩახვაძე", სწრაფმავალი და სამაშველო კატარღები, მოტონავი, სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო სიმულატორი, რადილოკაციური და ავტომატური რადიოლოკაციური სიმულატორი, რეალური სამანქანო განყოფილება, ლაბორატორიები და საამქროები, რეალური გემის მოდელი, საცურაო აუზი და სხვა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩატარების წესი", რომლის მეშვეობით რეგულირდება საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. მოცემული წესის გათვალისწინებით შედგენილია საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კომპონენტების სილაბუსები.

წინამდებარე წესში და სილაბუსებში ვხვდებით ჩანაწერს „შუასემესტრული შეფასება ჩატარდება სწავლის დაწყებიდან VII და VIII კვირეებს შორის წერითი გამოცდის სახით". თუმცა წარმოდგენილ 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარში შუალედური შეფასებისათვის აღნიშნულია VIII სასწავლო კვირა.

სტუდენტთა შეფასების ერთ-ერთ ფორმად / კომპონენტად წარმოდგენილია ე.წ. „პედაგოგის რეიტინგული შეფასება". აქ ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „სტუდენტი ვალდებულია, სემესტრის განმავლობაში პედაგოგს გამოაძახებინოს max 5-ჯერ, რის შედეგადაც ის მოაგროვებს მაქსიმუმ 5X4=20ქ." ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს ჩანაწერი არ არის უმაღლესი განათლების სასწავლო პროცესის ადექვატური ჩანაწერი. ამასთან, ტერმინის გამოყენებაც შეუსაბამოა, რადგან რეიტინგული შეფასება ნიშნავს გარკვეულ სიით რანჟირებას და რეიტინგის დადგენას, რაც სინამდვილეში არ ხორციელდება.

რიგ სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში შეფასება არ არის სრულად გამჭვირვალე. მაგალითად, პრაქტიკის სილაბუსებში (სასწავლო საცურაო პრაქტიკა SN, სასწავლო საცურაო პრაქტიკა ME, მოცულობა 30 კრედიტი) 40 ქულიანი დასკვნითი გამოცდისათვის გამოიყენება შემდეგი განაწილება: შესრულებული პრაქტიკის ანგარიშის შეფასება -10 ქულა, პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია - 20 ქულა; „მეზღვაურის რეგისტრაციისა და მომზადების წიგნი " (RECORD BOOK)-ის წარმოება - 10 ქულა; მაგრამ არ არის დაკონკრეტებული და ნათლად აღწერილი რა კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება ამ ქულების (10 ან 20 ქულის) მინიჭება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩატარების წესი;
- საბაკალავრო პროგრამა „გემის ინჟინერ-მექანიკოსი" პაკეტი - კურიკულუმისა და სილაბუსების სახით;
- საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია" პაკეტი - კურიკულუმისა და სილაბუსების სახით.

**რეკომენდაციები:**

- მოდერნიზდეს „სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩატარების წესი" უფრო მოქნილი, გამჭვირვალე და სწავლის შედეგების ადექვატურ შეფასების მიდგომებზე ორიენტირებით.
- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სწავლის შედეგის შეფასებისათვის ნათლად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები.

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4. უსდ-ის პერსონალი

**უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.**

| 4.1. პერსონალის მართვა |
|---|
| o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.<br>o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებს დასაქმებას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>უსდ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის პერსონალის მიღების, მომზადებისა და შემოწმების პროცესის პროცედურა. სადაც გაწერილია შესაბამისი პროცედურები პედაგოგიური და ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების, სტაჟირების და ატესტაციისთვის.<br>აკადემიური პერსონალისთვის არსებობს, „აკადემიური პერსონალის, პედაგოგებისა და ინსტრუქტორების თანამდებობრივი ინსტრუქცია“ და „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება“, მარეგულირებელი დოკუმენტები სადაც აღწერილია აკადემიური თანამდებობების დაკავების პროცედურები და თანამდებობრივი ინსტრუქციები თითოეული აკადემიური პერსონალისათვის. აკადემიური პერსონალი აირჩევა ღია და გამჭირვალე კონკურსის გზით, მაგრამ რიგ შემთხვევებში ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათი დანიშვნა ხდებოდა რექტორის გადაწყვეტილების შედეგად.<br>უნდა აღინიშნოს რომ ინტერვიუს დროს ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამშრომელი ექსპერტებს ვერ სცემდა პასუხს საკუთარი უფლება მოვალეობების და სამუშაოს შესახებ. რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კოლეჯის პერსონალის კვალიფიციურობას.<br>პერსონალის განვითარება უსდ-სთვის წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც წარმოჩენილია ერთდროულად რამდენიმე მიზანში: **მიზანი 2.** სასწავლებლის განათლების სტანდარტების ამაღლება. სწავლის, სწავლებისა და წვრთნის ხარისხის გაუმჯობესება და **მიზანი 3.** ინტერნაციონალიზაცია - გულისხმობს პერსონალის ჩართვას სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში.<br>აღნიშნულ ფაქტს ამტკიცებს ასევე 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ფინანსური რესურსი გამოყოფილია სამივე წლის განმავლობაში „პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება/ტრეინინგი/სამეცნიერო ან/და სხვა სახის კონფერენციებში მონაწილეობის მიღება“-სთვის.<br>კოლეჯში არ არსებობს პროცედურა რომელიც დაეხმარება ახალ თანამშრობლებს ახალ სამუშაო სივრცეში ადაპტირებაში.<br>პერსონალმა განაცხადა რომ ისინი იღებდნენ წამახალისებელ ფასიან საჩუქრებს, მაგრამ არსებული ფაქტი მხოლოდ დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევებზე და არ აქვს პროცედურის სახე.<br>2018 წლის თებერვლის თვეში კოლეჯმა ჩაატარა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სამი მიმართულებით: საზღვაო ნავიგაციის მიმართულება; გემთმექანიკურ დისციპლინათა მიმართულება; ზოგადსაგანმანათლებლო და ზოგადტექნიკურ დისციპლინათა მიმართულება (გენერალური დირექტორის ბრძანებები: N07 - 26.01.2018 2018; N14 - 09.02.2018; N44 02.04.2018 ). კონკურსის შედეგად 2018 წლის 2 აპრილიდან 2022 წლის 2 აპრილამდე (4 წლის ვადით) დაინიშნა შესამაბის აკადემიურ თანამდებობებზე (შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი/რექტორის 2018 წლის 02 აპრილის ბრძანება N44).<br>ამჟამად აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის შემდეგი:<br>პროფესორი - 4;<br>ასოცირებული პროფესორი - 5;<br>ასისტენტ პროფესორი - 6;<br>უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აფილირების წესი და პირობები წარმოდგენილი აქვს დოკუმენტში „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება“ (09.02.2018). აფილირების წესში და პირობებში არ ჩანს კოლეჯის ზოგადი და/ან კონკრეტული ვალდებულებები და მხარდაჭერის მექანიზმები აფილირებული პირის მიმართ. |

კოლეჯის ადმინისტრაციასთან და იურისტთან ინტერსიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ხედავენ აფილირების წესის გაუმჯობესების საჭიროებას და გეგმავენ ცვლილებებს.

სასწავლო განყოფილება - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე სასწავლო პროცესში ასევე ჩართულია კონკურსის წესით შერჩეული 39 მოწვეული პედაგოგი, აქედან 24 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების და 15 პროფესიულის, რომელთა უმრავლესობას აქვს ინდუსტრიაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. შპს ბუსსს ანრის შემუშვებული აქვს პერსონალის ატესტაციის ჩატარების დებულება, რომელიც მოქმედებს 26.06.2017. არსებული დებულება განსაზღვრავს შპს ბუსსს ანრის თანამშრომლების, პედაგოგების მორიგი (დაგეგმილი), განმეორებითი და რიგგარეშე (დაუგეგმავი) ატესტაციის წესს.

1. რიგითი ატესტაცია - დაგეგმილი შემოწმება, რომელიც ტარდება რეგულარულად თანამშრომლებისთვის და პედაგოგებისთის 3 წელიწადში ერთხელ; ტარდება პერსონალის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისობის, ანუ შესაბამისი ცოდნის, კვალიფიკაციის და ა.შ. დასადგენად;
2. განმეორებითი ატესტაცია - ატესტაცია, რომელიც ტარდება იმ შემთხვევაში, თუ რიგითი ატესტაციის დროს პერსონალი აღიარებულია დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მუშაობის ხარისხის (დონეს) გაუმჯობესების და ხელმეორედ ატესტაციის გავლის შემთხვევაში;
3. რიგგარეშე ატესტაცია - არაგეგმიური ატესტაცია, რომელიც ტარდება გენერალური დირექტორის ბრძანებით არასაატესტაციო პერიოდში;

ატესტაციის ამოცანას წარმოადგენს:

- პერსონალის პროფესიონალური მომზადების დონის დადგენა თანამშრომლის საქმიანი თვისებების და თანამშრომლის შესაბამისობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობის მოთხოვნებთან.
- პროფესიონალური კომპეტენტურობის ამაღლების სტიმულირება და დაკისრებული საქმიანობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლება.
- პოტენციური უნარების და შესაძლებლობების გამოყენების პერსპექტივების გამოვლენა.
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიონალური მომზადების თუ გადამზადების მიმართულებების და აუცილებლობის დადგენა (განსაზღვრა).
- კადრების მომზადებასა და გადანაწილებასთან დაკავშირებული საქმიანობის გაუმჯობესება.

კოლეჯი პერსონალის მართვაში არ ფოკუსირდება სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზზე, არ აქვს დადგენილი შესაბამისი სამიზნე ნიშნულები, რაც უკავშირდება:

- აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობას,
- აკადემიური პერსონალის განაწილებას ასაკისა და სქესის მიხედვით,
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა რაოდენობის თანაფარდობას სტუდენტების რაოდენობასთან;
- ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობას;
- პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელს;

კოლეჯში შემუშავებულია დოკუმენტი „ხარისხის მართვის პოლიტიკა და მიზნები“ (03.01.2019), სადაც აღნიშნულია:

„4.3 ხარისხის მიზნები

1. თანამშრომლებისა და პედაგოგების კვალიფიკაციის მინიმუმ 10%-ით ასამაღლებლად პერიოდულად ტექნიკური მეცადინეობების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება;
2. პროფესიული განვითარების ამაღლების, შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების პერსონალისთვის გადაცემის/გაზიარების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ სემინარებზე/კონფერენციებზე/ტრენინგებზე სწრებადობის დონის ამაღლება 10%-ით;
3. შეუსაბამო მომსახურების მართვის გაუმჯობესება აუდიტების დროს აღმოჩენილი შეუსაბამობების რაოდენობის 5%-ით შემცირების მიზნით;
4. გასულ წელიწადთან შედარებით 10%-თ კადრების შევსება კვალიფიცირებული პერსონალით;
5. სასწავლო/საწვრთნელი მასალა, ტრენაჟორები, დანადგარები და სხვა საჭირო აღჭურვილობის განახლება 5%ით წინა წლებთან შედარებით;
6. სასწავლებლის სტუდენტებისთვის შორეულ ნაონობაში პრაქტიკის გასავლელად ხელისშეწყობა, წინა წლებთან შედარებით 5%ით გაზრდა“.

დოკუმენტში არ არის ნათლად იდენტიფიცირებული რომელი სტრუქტურული ერთეული და ვინ არის პასუხისმგებელი ამ მიზნების შესრულებაზე.

კოლეჯმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის მართვის გამართული პოლიტიკა, რომელიც თავს მოუყრის და სისტემურად წარმოადგენს კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციებს.

| |
|---|
| საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კოლეჯმა უნდა დაადგინოს სამიზნე ნიშნულები და ზრუნავდეს მათ გაუმჯობესებაზე.<br>კოლეჯმა უნდა გამოიყენოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში.<br>უსდ-ში მოქმედი რეგულაციით, „აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს“. აკადემიური თანამდებობების დაკავების პირობები განსაზღვრულია ნდ № 2–010119 –ში “აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, გამოცხადებული ღია კონკურსის დებულება”.<br>პედაგოგიური (მასწავლებელთა) პერსონალი შედგება მასწავლებლისა და უფროსი მასწავლებლისაგან; მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• აკადემიური პერსონალის, პედაგოგებისა და ინსტრუქტორების თანამდებობრივი ინსტრუქცია<br>• აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება<br>• ნდ 2-010119 „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსისი ჩატარების დებულება / Regulation to hold the announced open vacancy for academic position“ 26.06.2017წ. დამტკიცებული ვერსია N 4 განახლდა 2018 წლის 18 იანვარს N5 ვერსიით - ცირკულარული წერილი N1;<br>• განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>• 3 წლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• შპს ბუსსს ანრის პერსონალის ატესტაციის ჩატარების დებულება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2017 წლის 26 ივნისის სენატის სხდომის ოქმი N16). |
| **რეკომენდაციები:**<br>• შემუშავდეს პერსონალის მართვის პოლიტიკა მწყობრი სისტემით<br>• საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, კოლეჯმა უნდა დაადგინოს სამიზნე ნიშნულები და ზრუნავდეს მათ გაუმჯობესებაზე.<br>• კოლეჯმა პერსონალის მართვასა და განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები. |
| **რჩევები:** - |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა** |
| უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>უსდ-ში არსებობს დატვირთვის სტანდარტული სქემა რომელიც მოცემულია „აკადემიური პერსონალის, პედაგოგებისა და ინსტრუქტორების თანამდებობრივი ინსტრუქცია“-ში, რაც თავისთავად მოიაზრებს: ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების და კონსულტაციების ჩატარებას. ასევე მუშაობას სამეცნიერო მიმართულებით, სილაბუსების/პროგრამების შემუშავება/განვითარების პროცესში ჩართულობას.<br>უსდ-ში თითოეული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები მოცემულია „პროფესორ მასწავლებელთა ინდივიდუალურ დატვირთვის ფორმაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა რომ უსდ-ში არიან აფილირებული აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტში თითქმის არ ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. შესაბამისად არ არსებობს არც პერსონალის რაოდენობის |

| |
|---|
| შემცირების/გაზრდის სამიზნე ნიშნულები რომლის მიხედვითაც გაუმჯობესდება კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• აკადემიური პერსონალის, პედაგოგებისა და ინსტრუქტორების თანამდებობრივი ინსტრუქცია<br>• აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება<br>• ნდ 2-010119 „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსისი ჩატარების დებულება / Regulation to hold the announced open vacancy for academic position“ 26.06.2017წ. დამტკიცებული ვერსია N 4 განახლდა 2018 წლის 18 იანვარს N5 ვერსიით - ცირკულარული წერილი N1;<br>• აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები<br>• აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება |
| **რეკომენდაციები:** - |
| **რჩევები:** - |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

**უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.**

| **5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები** |
|---|
| o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.<br>o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br><br>უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი - „საბაკალავრო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მართვის პროცედურა“. აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე უსდ -ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ნათლად შეიქმნან წარმოდგენა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული პროცედურები მორგებულია სტუდენტების უფლებებზე, რაც დასტურდება სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშშიც.<br><br>სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ გამოცდების ჩატარება ხდება ზეპირი ფორმით კომისიის წინაშე. (საგნის პროფესორი და დამატებით კომისიის 2 წევრი) შესაბამისად იმის ალბათობა, რომ მათი შეფასება იყოს არაადეკვატური არის მინიმუმამდე დაყვანილი. აქედან გამომდინარე სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ მათი მხრიდან გასაჩივრების საჭიროება არ ყოფილა. მიუხედავად გასაჩივრების წესის არ არსებობისა ადმინისტრაციის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა განაცხადა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ზეპირი ფორმით მიემართათ თავისი ქულების/ ნაშროების გასაჩივრების მოთხოვნით. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „საბაკალავრო პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მართვის პროცედურა“;
- სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში;
- ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უსდ-ს სტრუქტურაში არსებობს სტრუქტურული ერთეული „საცურაო პრაქტიკისა და კარიერის ცენტრის სამსახური“, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების პრატიკის გავლისა და დასაქმების მხარდაჭერას. თუმცა რეალური სიტუაცია არის სრულიად განსხვავებული. სტუდენტები არ არიან ინფორმირებული ასეთი სამსახურის არსებობის შესახებ და აღნიშნული სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს სტუდენტების მხოლოდ პრაქტიკით უზრუნველყოფის საკითხს. ინტერვიუს დროს სტუდენტებმაც და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამაც აღნიშნეს, რომ პრაქტიკით უზრუნველყოფაც ხდება ძირითადად პირადი კონტაქტების საფუძველზე და არა სამსახურის ეფექტურად მუშაობის გამო.

კოლეჯის ადმინისტრაციამ აღნიშნა რომ ჩატარებულა შეხვედრები დამსაქმებლებთან.

ერთ-ერთი პრობლემა რომელიც აღნიშნეს სტუდენტებმა არის გაცვლითი პროგრამების არ არსებობა. უსდ არ არის ჩართული გაცვლით პროგრამებში და შესაბამისად არც სტუდენტებს და არც ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს არ აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

უსდ-ში ფუნქციონირებს სპორტისა და სტუდენტთა თვითმმართველობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სტუდენტური აქტიობების ჩატარებას და სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის თვითმმართველობის 2018-2019 წლის ანგარიში (ჩატარებული და ჩასატარებელი ღონისძიებები). სპორტისა და სტუდენტთა თვითმმართველობის ცენტრის დებულებიდან ნათლად არ ჩანს თვითმმართველობის დამოუკიდებლობა, რადგან აღნიშნულ დოკუმენტში წერია, რომ ცენტრის თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი, ხოლო სტუდენტებიდან თვითმმართველობის წევრობა ხდება სტუდენტების პირადი განცხადების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტების წამახალისებელი ღონისძიებები რა დროსაც აჯილდოებენ წარმატებულ სტუდენტებს ფასიანი საჩუქრებით. ასევე სტუდენტებს, აქვთ ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებისათვის.

სტუდენტებს აქვთ საშუალება გადაინაწილონ სწავლის გადასახადი, ხოლო სოციალურად დაუცველ სტუდენტებს აქვთ ასევე ფინანსური შეღავათებიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითმმართველობის ანგარში 2018-2019
- სპორტისა და სტუდენტთა თვითმმართველობის ცენტრის დებულება

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br>• კოლეჯმა უნდა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტთა კარიერული წინსვლისა და მხარდაჭერის სერვისების მიწოდებაზე. |
| **რჩევები:**<br>• ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში კოლეჯმა ითანამშრომლოს სხვადასხვა უცხოურ უსდ-თან სტუდენტების და პერსონალის გაცვლის თაობაზე |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

**უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.**

| 6.1 კვლევითი საქმიანობა |
|---|
| o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.<br>o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.<br>o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. |
| შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელი ანრი“ წარმოადგენს კოლეჯს, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს.<br>დაწესებულების ხელმძღვანელებთან ინტერვიუირებისას გამოვლინდა, რომ სასწავლებელი გეგმავს სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას.<br>მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს მისი, როგორც კვლევების/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ჩამოყალიბებული ხედვა და მის საქმიანობაში არაა წარმოდგენილი და/ან დაგეგმილი კომპლექსური კვლევითი/განვითარების/სახელოვნებო-შემოქმედებითი აქტივობები.<br>კვლევის შედეგები ნაწილობრივ ინტეგრირებულია დაწესებულების სასწავლო საქმიანობაში, რადგან მთელი რიგი სილაბუსები ეყრდნობა თანამედროვე სტანდარტებს და ლიტერატურას.<br>აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებებში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. დასაქმებული ვალდებულია „აწარმოოს კვლევითი საქმიანობა იმ მიმართულებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ზღვის გარემოს, საზღვაო ტრანსპორტის და საზღვაო განათლების სფეროსთან“ (პუნქტი 3.2.3). თუმცა ასეთი საქმიანობის წარმართვა და შეფასება არ სრულდება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• ჩატარებული ინტერვიუები<br>• აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები<br>• საგანმანათლებლო პროგრამები |
| **რეკომენდაციები:**<br>• შემუშავდეს დაწესებულების, როგორც კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ხედვა და მის საქმიანობაში აისახოს კვლევითი აქტივობები.<br>• დაწესებულებამ უნდა დაგეგმოს დ განავითაროს კვლევითი აქტივობები ისე, რომ უპასუხოს მოთხოვნას: „ახორციელებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე“. |
| **რჩევები:** - |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია** |
| o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.<br>o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.<br>o უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე. |
| აღნიშნულ ეტაპზე სასწავლებელი თვლის, რომ კვლევითი კომპონენტი არ არის მისი ძირითადი ვალდებულება, თუმცა სტანდარტის შესაბამისად, გარკვეული პოლიტიკით, კოლეჯი ვალდებულია იზრუნოს |

საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია ის ორგანიზაციები, რომელთანაც კოლეჯს გააჩნია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მაგალითად, ოდესის სახელმწიფო გარემოსდაცვით უნივერსიტეტთან ხელშეკრულების საგანია სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობა, ბათუმია ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან - ერთობლივად განახორციელონ სამეცნიერო კვლევები, პუბლიკაციები და სამეცნიერო ღონისძიებები.

აღნიშნული მიუთითებს, რომ კოლეჯი გარკვეულწილად, თუმცა არასაკმარისად ზრუნავს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებებში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. დასაქმებული ვალდებულია „აწარმოოს კვლევითი საქმიანობა იმ მიმართულებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ზღვის გარემოს, საზღვაო ტრანსპორტის და საზღვაო განათლების სფეროსთან“ (პუნქტი 3.2.3).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- ჩატარებული ინტერვიუები
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები
- საგანმანათლებლო პროგრამები

**რეკომენდაციები:**

- შემუშავდეს კვლევის განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სამუშაოებში, რაც მიმდინარე ეტაპზე შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შეთავაზა ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს არ გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:** -

**რეკომენდაციები:**

- პრაქტიკაში დაინერგოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

**უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.**

| 7.1 მატერიალური რესურსი |
|---|
| o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.<br>o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.<br>o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.<br>o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>დაწესებულებას საკუთრებაში გააჩნია 2495,35 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 3771,20 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. უსდ-ს ყავს 204 სტუდენტი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და 267 სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სულ 471 სტუდენტი. შესაბამისად აღნიშნული თანაფარდობა დამაკმაყოფილებელია.<br>როგორც შესყიდვების დოკუმენტებიდან ჩანს უსდ-ს შესყიდული აქვს საზღვაო პროგრამებისათვის საჭირო ინვენტარი, მათ შორის სიმულატორები, სატვირთო ტანკების შემოწმების ლაბორატორია, სამაშველო ჟილეტები, ECDS, GMDSS, RADADARPA თუ სხვა. ასევე ინვენტარიზაციის დოკუმეტში აღრიცხულია რომ სასწავლებლის მფლობელობაშია სხვადასხვა სახის ტრენაჟორი სანავიგაციო და სამანქანე სიმულატორი, ლაბორატორია თუ სახარატო საამქროები, სამედიცინო დახმარები აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარი, სამაშველო ტივები, აუზი წვრთნისათვის, მოტონავები, სასწავლებელს აქვს ასევე სასწავლო-საწვრთნელი ლაბორატორია „ანრი“ ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნების უზრუნველყოფისათვის, ასევე ჰყავს გემი „კაპიტანი ოთარ ჩახვაძე“, რომელიც შეესაბამება წვრთნების ჩატარებისა და საჭირო თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის კომბინირებული ჩატარებისთვის შესაბამისად კვალიფიციური პერსონალით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული შემოწმდა და დადასტურდა ინვენტარის ვიზუალური დათვალიერების დროს.<br>თუმცა საზღვაო-საინჟინრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული ინვენტარიდან არ არის პნევმატიკის ლაბორატორია, ჰიდრავლიკის ლაბორატორია, ავტომატიკის ლაბორატორია, ტექნიკური მექანიკის ლაბორატრია და ელექტრო მექანიკის ლაბორატორია.<br>სასწავლებელს აქვს კვების ბლოკი და საერთო საცხოვრებელი, კომპიუტერები, სკამები, დაფა, მაგიდა თუ სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარი. აღნიშნულ რესურსებზე წარმოდგენილია ასევე შესყიდვის აქტები და ზედნადებები.<br>ყოველ სართულზე არის სანიტარული კვანძი, ხოლო მე-5 სართულზე სანიტარული კვანძი მწყობილია შშმ პირებისთვის. ყველა სანიტარული კვანძი მუდმივად მარაგდება წყლით, სანიტარული და ჰიგიენური ნორმები დაცულია, არსებობს შესაბამისი განათება და ვენტილაცია. სასწავლო ოთახები დიდი და ნათელია, მასში არის როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება.<br>დაწესებულებას გააჩნია ბიბლიოთეკა და არქივი და არსებობს გათბობის ცენტრალური სისტემა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა და დაწესებულების განმარტებით, ასეთ დროს გათბობას არ რთავენ, ვერ მოხერხდა გათბობის სისტემის გამართულად მუშაობის შემოწმება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაწესებულების თითქმის ყველა ოთახი აღჭურვილი იყო ზამთარ/ზაფხულის კონდინციონერით.<br>დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო პუნქტი და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა. დაწესებულებაში არსებობს ასევე ლიფტი სპეციალური საჭიროების პირებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს გააჩნია მხოლოდ საზღვაო სპეციალობები, რომელზე სწავლაც მოითხოვს სპეციალურ სამედიცინო შემოწმებას საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად.<br>სასწავლებელში მიმდინარეობს ხანძარსაწინაარმდეგო სისტემების მონტაჟი (მათ შორის სასწავლებლს შენობაში ავტომატური სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის და საევაკუაციო მაჩვენებლების (გასასვლელების) მიწოდება, მონტაჟი და პროგრამირება), ამ დროისთვის ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო ყუთები, დამონტაჟებულია საევაკუაციო გარე კიბე. |

2015 წლის 16 ნოემბრით დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების 3 წლიანი გეგმა-გრაფიკისა და შიდა ნდ #2-0401-03 საფუძველზე 2018 წლის 12 ივნისს და 12 დეკემბერს ჩატარდა ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნა სასწავლებლის თანამშრომლების, პედაგოგების, მსმენელებისა და სტუდენტების მონაწილეობით. წვრთნის ჩატარება აღინიშნა გეგმაში და #05-101 ჟურნალში.

დაწესებულების მთლიანი ტერიტორია შემოღობილია და მასში შესასვლელი გაკონტროლებულია შინაგანაწესის და ვახტის უზურნველყოფის განყოფილების მიერ, რომელსაც ევალება ტერიტორიის დაცვა და დარღვევებზე რეაგირება შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერი;
- შესყიდვის აქტები, ზედნადებები, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები;
- ინვენტარიზაცია;
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შემოწმების აქტი;
- ინტერვიუები;
- შენობის დათვალიერება.

**რეკომენდაციები:**

- უსდ-მ უზრუნველყოს პნევმატიკის, ჰიდრავლიკის, ავტომატიკის, ტექნიკური მექანიკის და ელექტრო მექანიკის ლაბორატორიების მოწყობა.

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.2. საბიბლიოთეკო რესურსები**

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უსდ-ს გააჩნია ბიბლიოთეკის დებულება, რომლითაც რეგულირდება მისი საქმიანობა. დებულების შესაბამისად ბიბლიოთეკაში არსებობს წიგნსაცავი, წიგნების დამუშავება-კატალოგიზაციის სივრცე და სამკითხველო სივრცე. დებულების თანახმად ბიბლიოთეკა მუშაობს 5 დღე კვირაში 10-დან 17:30 საათამდე, რაც არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას. თუმცა ბიბლიოთეკის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული იყო ინფორმაცია, იმისთაობაზე, რომ ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე. ინტერვიუების დროს გაჟღერდა, რომ ბიბლიოთეკა საჭიროების შემთხვევაში მუშაობს შაბათსაც.

დაწესებულებას ამავე დებულებაში გაწერილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, აღინიშნება, რომ გააჩნიათ ასევე ელექტრონული ბიბლიოთეკა და მისი მოხმარების წესი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები, ასევე არის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, მათ შორის: 10 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პრინტერი, ასლის გადამღები და სკანერის აპარატი. ბიბლიოთეკაში ასევე უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით. დაწესებულების ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო კვლევით საქმიანობის განხორციელებას; სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა შემოწმდა ვიზიტის დროს და აღმოჩნდა, რომ ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში. ინტერვიუები დროს აღინიშნა, რომ იგეგმება ბიბლიოთეკის სხვა სართულზე უფრო დიდ აუდიტორიაში გადატანა, აღნიშნული პროცესი დაწყებულია, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებისას - ბიბლიოთეკის ნაწილი უკვე გადატანილი იყო ახალ სივრცეში.

ბიბლიოთეკაში არის 3 თანამშრომელი. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკის გამგეს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და მრავალწლიანი გამოცდილება. ასევე სამივე თანამშრომელს გავლილი აქვს შესაბამისი ტრეინინგი.

| |
|---|
| უსდ-ს ასევე გათვალისწინებული აქვს ბიბლიოთეკის მუდმივი განახლება 3 წლიან სამოქმედო გეგმაში. ასევე ბიბლიოთეკა გაწევრიანებულია და იყენებს EVEGREEN-ის ეკექტრონულ კატალოგს, თუმცა ბიბლიოთკას არ გააჩნია საერთაშორისო ბაზებთან წვდომა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• 3 წლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• ინტერვიუები;<br>• ბიბლიოთეკაში ვიზიტი. |
| **რეკომენდაციები:**<br>• შეიცალოს ბიბილიოთეკის სამუშაო განრიგი და მოვიდეს სტანდარტთან შესაბამისობაში - კვირაში არანაკლებ 6 დღე, 60 საათი;<br>• უსდ-მ უზრუნველყოს საერთაშორისო ბაზებთან წვდომა. |
| **რჩევები: -** |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **7.3 საინფორმაციო რესურსი** |
| o უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.<br>o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.<br>o უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>უსდ-ს ბიზნესპროცესების უზურნველყოფისათვის გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა: საჭირო კომპიუტერები, სიმულატორებისათვის საჭირო პროგრამული უზურნევლყოფა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც დასტურდება ხელშკრულებით მომწოდებელთან ini.ge, თუმცა ის არის ცალმხრივი და განსაზღვრულია მხოლოდ პედაგოგიური პერსონალისათვის სარგებლობის თვალსაზრისით და არა სტუდენტებისთვის. ასევე არ არის დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.<br>დაწესებულებას საქმიანობის განხორციელებისათვის სჭირდება ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური. როგორც ავღნიშნეთ სტნდარტი 2-ის აღწერისას, ინფორმაციული რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯში ხელშეკრულებითაა აყავნილი. ინტერვიუზე გამოჩნდა, რომ იგი ასრულებს საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოს და დაწესებულებას აქვს სამომავლო გეგმები ინორმაციული რესურსების განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულების სტრუქტურასა და მართვაში უნდა აისახოს ინფორმაციული რესურსების მართვის სამსახური. ამასთან, დაწესებულებამ სათანადოდ უნდა აღწეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უნდა შეიმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, შესაბამისად დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული და იდენტიფიცირებული საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვის მექანიზმები.<br>უსდ-ს გააჩნია ოფიციალური ვებ-გვერდი სამ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული), რომელზეც განთავსებული აქვს საკონტაქტო ინოფრმაცია, მისია, სტრუქტურა, პროგრამების კატალოგი, ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, თუმცა ვებ-გვერდზე არ ჩანს ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ხელმისაწვდომი სერვისები, დასაქმების შესაძლებლობები და ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. |

ვებ-გვერდიდან ჩანს, რომ უსდ ახორციელებს ინფორმაციის გაახლებას სისტემატიურად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდის ინგლისური ვერსია პრაქტიკულად არ მუშაობს, რადგან ან ქართული დოკუმენტაცია იხსნება ან საერთოდ ცარიელია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უსდ-სმიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- უსდ-ს ვებ-გვერდი.
- ინტერვიუირება.

**რეკომენდაციები:**

- შეიმუშავეთ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ინფორმაციული ტექნოლოგიების არსებული ინფრასტრუქტურის შეფასებაზე დაყრდნობით.
- უზრუნველყოფილ იქნას უსდ-ს ვებ-გვერდის სრულყოფილი ფუნქციონირება;
- დაიგგემოს და გონივრულ ვადაში მოხდეს საინფორმაციო რესურსების სრულფასოვანი ფუნქციონირება და ხელმისაწვდომობა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.
- უსდ-მ შეიმუშაოს და განავითაროს ელექტრონული პორტალი სტუდენტების სარგებლობისთვის.

**რჩევები:** -

**შეფასება:**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.4 ფინანსური რესურსი**

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უსდ-ს მოწოდებული აქვს სამწლიანი სამოქმედო გეგმის ბიუჯეტი, რომელიც არის სტრატეგიული გეგმის მე-8 ნაწილი, რომელშიც ჩამოწერილია მხოლოდ ხარჯების დასახელება და შემოსავლები, რომელთა წყარო არ არის წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ბიუჯეტში წარმოდგენილი ფინანსური რესურსები მეტწილად უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

უსდ-ს არ ჩატარებია ფინანსური აუდიტი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ.

დაწესებულებას გააჩნია საფინანსო განყოფილების დებულება, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები. დებულების მიხედვით სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია ბუღალტერისა და მთავარი ბუღალტერისაგან და მას არ ჰყავს საფინანსო განყოფილების მენეჯერი, ხოლო საშტატო განრიგში ასეთი პოზიცია არსებობს. აღნიშნულ დებულებაში არ ფიქსირდება მოვალეობა და პასუხისმგებლობა ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე არ ჩანს თუ როგორი პროცედურით ახორციელებს დაწესებულება ბიუჯეტის შედგენას, ვინ არის პასუხისმგებელი ბიუჯეტის შედგენაზე და როგორ ხდება საჭირო ინფორმაციის აკუმულირება და ანალიზი.

უსდ-ს ფინანსური შემოსავლები იფარგლება სტუდენტთა და საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა სწავლის გადასახადებით, რაც გამჭვირვალე პროცესია. ვინაიდან სასწავლებელი არ აწარმოებს სამეცნიერო კვლევას, მას არ აქვს გამოყოფილი ფინანსური რესურსები აღნიშნული მიმართულებისთვის. თუმცა დაწესებულებას

| |
|---|
| ბიბილიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის გათვალისწინებული აქვს ფინანსური რესურსების ბიუჯეტში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• უსდ-ს სამწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>• საფინანსო განყოფილების დებულება. |
| **რეკომენდაციები:**<br>• გადაიხედოს საფინანსო განყოფილების დებულება და ჩამოყალიბდეს ბიუჯეტის შედგენის პროცესი და პასუხისმგებლობები;<br>• უსდ-მ უნდა შეადგინოს ორგანიზაციის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება ასახული შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი და შესაბამისად იქნება გათვლილი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე.<br>• უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დაფინანსება სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. |
| **რჩევები:**<br>• სასურველია სასწავლებელს ჰყავდეს ფინანსური მენეჯერი |
| **შეფასება:**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |